ეკონომიკის საფუძვლები

ლექცია 3

ალტერნატიული ღირებულება საქონლის მიწოდება

შესავალი

- მიწოდების თეორია ისევე როგორც მოთხოვნის თეორია გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არჩევანი უნდა გავაკეთოთ ალტერნატივებს შორის

- გადაწყვეტილების მიღებისას ინდივიდები ერთმანეთს ადარებენ მოსალოდნელ ხარჯებს და ამონაგებს

- ამა თუ იმ საქონლის/მომსახურების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მთავარია ადამიანური სუბიექტური ფასეულობები და არა წარმოების ხარჯები, მაგალითად

არ არსებობს „ობიექტური“ ხარჯები. ყველა ხარჯი გამოხატავს ვიღაცის მიერ დაკარგული შესაძლებლობის ღირებულებას.

ალტერნატიული დანახარჯის ცნება

- რატომ არის, რომ ქალაქებს შორის მოგზაურობისთვის ღარიბი ადამიანები ირჩევენ ავტობუსით მგზავრობას, ხოლო მდიდარი ადამიანები – თვითმფრინავით მგზავრობას?

- რატომ არის, რომ შედარებით მდიდარ საცხოვრებელ უბნებში თინეიჯერი ძიძას პოვნა უფრო რთულია, ვიდრე შედარებით ღარიბ უბნებში?

დანახარჯები დაკავშირებული ქმედებებთან და არა საგნებთან

- დანახარჯები ყოველთვის დაკავშირებულია ქმედებებთან, გადაწყვეტილებებთან და არჩევანთან

- იმისთვის რომ შევაფასოთ დანახარჯი უნდა გავიაზროთ, რომ ხარჯები დაკავშირებულია ქმედებებთან და ამ ქმედებების განხორციელებას აქვს სხვა და სხვა ხარჯი სხვა და სხვა ადამიანებისთვის

ნებისმიერი მოქმედების ფასი არის იმ გამოუყენებელი შესაძლებლობების ღირებულება, რომლებზედაც ამ ქმედებების განხორციელებისას უარის თქმა მოგვიხდა.

მაგალითი

- გავარკვიოთ ალტერნატიული დანახარჯის ცნება და მისი ქმედებასთან კავშირი ქვემოთ მოყვანილ დიალოგზე დაყრდნობით:

— „გამარჯობა, ჯეკ, წამოხვალ ახალი ფილმის სანახავად, რომელშიც უიმ ენდერსი თამაშობს? დღეს ბოლო დღეა“.

— „ძალიანაც მინდა, მაგრამ არ შემიძლია. ხვალ საკონტროლო მაქვს რუსულში და თუ სიტყვები არ დავი ზეპირე ორიანს მივიღებ“.

— „არა უშავს. ხვალ შესვენებაზე ამოწერილ სიტყვებს მოგცემ და ერთ საათში ისე ისწავლი, რომ ოთხიანი გარანტირებული გექნება“.

— „კარგი, მაგრამ მაშინ აჯობებს, „რედსკინსის“ და „მაიამის“ თამაშს ვუყურო და ეს დრო ამგვარად გამოვიყენო“

— „ექვსსაათიან სეანსზე წავიდეთ და მატჩის დაწყებასაც მიუსწრებ“.

— „კარგი, მაგრამ მოიცა, ჯერ დავთვალო რამდენი ფული დამრჩა სტიპენდიამდე. რვა დოლარილაა ხუთშაბათამდე, საჭმლის ტალონები კი უკვე გამითავდა“.

— „არა უშავს, კარაქიანი ბუტერბროდები ჭამე. ეგონა, მართლა გინდოდა ამ ფილმის ნახვა“.

— „მართლაც რომ ძალიან მინდა. კარგი, ჩემი კუჭი ხუთშაბათამდე როგორმე მოითმენს. ექვსს რომ თხუთმეტი დააკლდება, გავდივართ“.

აუნაზღაურებელი დანახარჯები

- წყლის და ბრილიანტების მაგალითზე საუბრისას დავასკვენით, რომ წყლის ღირებულება არ განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა მსხვერპლის გაღებას აპირებს ინდივიდი თუ ალტერნატივა საერთოდ უწყლოდ დარჩენაა

- ადამიანებისთვის წყლის ღირებულება ისაა, რასაც გადაიხდიან წყლის დამატებითი რაოდენობისთვის იმ რეალურ სიტუაციაში, რომელშიც აღმოჩნდებიან

- იგივე ზღვრული პრინციპები გამოიყენება ხარჯების მიმართაც

- ზღვრული ხარჯები vs აუნაზღაურებელი დანახარჯები

ზღვრული ხარჯები vs აუნაზღაურებელი დანახარჯები

- არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში აუნაზღაურებელი დანახარჯი, რომელიც ეხება წარსულში ქმედებას, და ზღვრული ხარჯი, რომელიც მომავალში განსახორციელებელი ქმედების დანახარჯია

როდესაც კაფეტერიაში იღებთ ერთ ულუფა თევზს და მოლარეს 1,9 დოლარს უხდით, თქვენ სწევთ ხარჯს: კარგავთ ყველა იმ შესაძლებლობების ღირებულებას, რომლებზედაც უარი განაცხადეთ 1,9 დოლარის დახარჯვისას. მაგრამ პირველივე ლუკმის გასინჯვისას უეცრად ინანეთ, რომ ეს კერძი აირჩიეთ. როგორი იქნება თქვენი ხარჯები, თუ თევზს თეფშზე დატოვებთ?

მწარმოებლის ხარჯები – ალტერნატიული დანახარჯები

- მწარმოებლების ხარჯები არის ალტერნატიული შესაძლებლობების ღირებულება

- ალტერნატიული დანახარჯის ცნების დემონსტრირება ყველაზე ადვილია მიწის მაგალითზე:

  – მაგალითი: მიწა შეიძლება გამოვიყენოთ სასოფლო–სამეურნეო, ინდუსტრიული, საცხოვრებელი მიზნებისთვის

  – თუ რა ფასს იხდი მიწაში, რომლის გამოყენებასაც ვთქვათ აპირებ სასოფლო–სამეურნეო მიზნებისთვის, დამოკიდებულია მისი ალტერნატიული გამოყენებით მიღებულ ამონაგებზე

  – როდის გამოიყენებენ მიწის სასოფლო–სამეურნეო მიზნებისთვის?

ზღვრული ალტერნატიული ხარჯი

- ყველა ალტერნატიული ხარჯი არის ზღვრული ხარჯი

- ყველა ზღვრული ხარჯი არის ალტერნატიული ხარჯი

- A ქმედების ალტერნატიული ხარჯის დათვლისას ყურადღებას ვამახვილებთ საუკეთესო ალტერნატივის ღირებულებაზე, რომელიც უნდა შევწიროთ A ქმედების განხორციელებას

- ზღვრული ხარჯის დათვლისას ყურადღებას ვამახვილებით არსებულ სიტუაციაში ცვლილების საუკეთესო ალტერნატიულ ხარჯზე

- სრული სახელი დანახარჯისა, რომელიც რელევანტურია მიწოდების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას არის ზღვრული ალტერნატიული ხარჯი

ზღვრული ხარჯი



ზღვრული და საშუალო ხარჯები

რაოდენობა	მთლიანი ხარჯები	ზღვრული ხარჯები	საშუალო ხარჯები
0	**0**	**0**	**0**
1	**$1.00**	**$1.00**	**$1.00**
2	**$2.10**	**$1.10**	**$1.05**
3	**$3.30**	**$1.20**	**$1.10**

მიწოდების მრუდი

- მიწოდების მრუდი გვაძლევს ინფორმაციას მწარმოებლების ქცევის შესახებ

- მიწოდების მრუდი გვიჩვენებს ურთიერთკავშირს მიწოდების რაოდენობას და ფასს შორის

- მიწოდების რაოდენობა მოცემულ ფასად არის ის რაოდენობა, რომლის მიწოდების სურვილიც აქვთ მიმწოდებლებს მოცემულ ფასად

მიწოდების კანონი: მიწოდების რაოდენობას და ფასს შორის არის პირდაპირი კავშირი – როცა ფასი იზრდება მიწოდების რაოდენობაც იზრდება, როცა ფასი მცირდება მიწოდების რაოდენობა მცირდება

მიწოდების მრუდი



ფასი	რაოდენობა
$55	50
$20	30
$5	10

რატომ არის მიწოდების მრუდი აღმავალი



მიწოდების ცვლილება და მიწოდების რაოდენობის ცვლილება

- მიწოდების რაოდენობის ცვლილებისას ხდება მრუდზე გადაადგილება. მიზეზი – ფასის ცვლილება

- მიწოდების ცვლილებისას ხდება მიწოდების მრუდის გადაადგილება. მიზეზი – არაფასისმიერი ფაქტორები

  - ტექნოლოგიური ინოვაციები
  - წარმოების ფაქტორების ფასები
  - გადასახადები და სუბსიდიები
  - მოლოდინები
  - ალტერნატიულ დანახარჯებში ცვლილება

- განვიხილოთ თითოეული ფაქტორის ზეგავლენა მიწოდების მრუდზე

მიწოდების საფასო ელასტიურობა

- მიწოდების საფასო ელსატიურობის განმარტება იგივეა, რაც მოთხოვნის საფასო ელასტიურობისა

- მიწოდების საფასო ელასტირუობა არის მიწოდების რაოდენობის პროცენტული ცვლილების ფარდობა ფასის პროცენტულ ცვლილებასთან

მიწოდების საფასო ელასტიურობა = %-ული ცვლილება რაოდ.-ში / %-ული ცვლ. ფასში

საშინაო დავალება

თავი 4

ამოცანები: 4; 8; 9; 11; 17; 24; 25; 33;

გამოიყენეთ 2009 წლის მეორე ქართული გამოცემა